



ახალქალაქში ინოვაციური ავტოსერვისი გაიხსნა

ავტო-სერვისის მფლობელმა სასუნიკ ასლანიანმა ახალქალაქში ევროკავშირის მიერ გამოცხადებული სგრანტო კონკურსის შესახებ ინტერნეტით შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ სერვისს უცხოეთში ხელობადაუფლებული ადამიანები ახორციელებდნენ, ეს ბიზნესის განვითარებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მოძველებული მოწყობილობებით შეუძლებელი იყო თანამედროვე ავტომობილების მფლობელთათვის ეფექტიანი მომსახურების გაწევა.



ჯერ კიდევ 1992 წლიდან ევროკავშირმა, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ავტომობილებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები შემოიღო, რაც ავტომობილის გამონაბოლქვისათვის სტანდარტის დაწესებას გულისხმობდა. გამონაბოლქვზე ევრო სტანდარტების შემოღების მიზანს ჰაერში შემდეგი მავნებელი ნივთიერებების გაფრქვევის შემცირება წარმოადგენს: აზოტის ოქსიდი (NOx), ნახშირბადის მონოქსიდი (CO), ჰიდროკარბონები (HC) და მტვრის ნაწილაკები (PM).

საქართველოში დიზელის ხარისხი ევრო 4-ის სტანდარტს 2019 წლის პირველი იანვრიდან გაუტოლდა და ნელ-ნელა ევრო 5-სა და ევრო-6 ზე გადასვლაც იგეგმება. ავტო-სერვისების მფლობელებს ახალი აღჭურვილობის შეძენა სჭირდებათ, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. სასუნიკ ასლანიანმა საგრანტო წინადადება LAG-ის დახმარებით მოამზადა და პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერაც მიიღო.





დღესდღეობით ავტოსერვისის ის მძღოლებიც მიმართავენ, რომლებმაც სახელწიფო ტექნიკური დათვალიერება უნდა გაიარონ. როგორც ბატონი სასუნიკი ამბობს, მათ მიერ შემოწმებულ მანქანებს წინააღმდეგობა არ ხვდებათ და პირველივე ჯერზე წარმატებით იღებენ დადებით შეფასებას.

პროექტის ფარგლებში შეძენილი აღჭურვილობით, დღეს ავტოსერვისისათვის პრობლემას აღარ წარმოადგენს CO, HC და PM დონის განსაზღვრა.

“მოგეხსენებათ, რომ რეგიონის ტურისტული პოტენციალიც იზრდება და მსგავსი ტიპის ავტო-სერვისის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვიზიტორები ხშირად ევრო 5 და ევრო 6 სტანდარტის ძრავის მანქანებით გვსტუმრობენ და ხშირ შემთხვევაში სერვისის გასაწევად მოგვმართავენ. ჩემი ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით ერთადერთი ავტოსერვისი ვართ, რომელიც მომხმარებელს ასეთ მრავალფეროვან და კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს”, - აცხადებს სასუნიკ ასლანიანი.

ქიმშენდა, ავტოსამრეცხაო, ავტოტუნინგი, ზეთის შეცვლა და ეს სერვისების სრული ჩამონათვალი არ არის, რასაც ავტოსერვისის მომხმარებლებს სთავაზობს. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 7 (2 პროექტის ფარგლებში) მკვიდრი უკვე დასაქმებულია ავტოსერვისში. მათი ძირითადი ნაწილი უცხოეთში მუშაობდა. დღეს კი საშუალება მიეცათ, საკუთარ ოჯახებს დაბრუნებოდნენ და მშობლიურ ახალქალაქში ეპოვათ სარჩო.



ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობრო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედუწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პაჩნოხები ახიან მეხის ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაჩთურობა და დასავდეთ კოჩკის განვითარების პაჩნოხოობა.

ევროკავშირის მხაჩს უჭეჩს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხოჩიედება 2013 წლიდან საეჩთო ბიუჯეტი 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძიჩითადი მიზანი საქართველოში სოფლად სილაჩიბის დაძდევაა. პროგრამის პიჩვედი ფაზის პიოტიგეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედუწყობა, ხოლო მეოჩე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზიდას. დამატებითი ინფოჩმაციისათვის იჩიდეუ ვებ-გვეჩდი: www.enpard.ge.